გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 93

2024 წლის 14 ივნისი
ქალაქი გორი

ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოს (ს/ნ 418469516) 2023 წლის ივნისიდან მომდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოს (ს/ნ 418469516) 2023 წლის ივნისიდან მომდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოს (ს/ნ 418469516) 2023 წლის ივნისიდან მომდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 16 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოს საქმიანობის ანგარიში 2023 წლის VIII თვიდან 2024 წლის V თვის ჩათვლით

გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტო 2023 – 2004 წლებში საქმიანობას ახორციელებს სამსახურის წესდებისა და სამოქმედო გეგმის საფუძველზე. 2023 წლის ივლისიდან დღემდე სააგენტომ გამართა 100-მდე შეხვედრა და აქტივობა როგორც ადგილობრივ ჯგუფებთან ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების და საზოგადოების წარმომადგენლებთან.

შეხვედრების და აქტივობების მიზანს წარმოადგენდა გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, ახალგაზრდების განათლება, გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, ფონდების მოძიება და მუნიციპალიტეტისთვის საგრანტო დაფინანსებების მიღება.

ცალკე უნდა აღინიშნოს სისტემური და სტრუქტურირებული კომუნიკაცია ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის სოფლების მოსახლეობასთან.

20-მდე შეხვედრა ჩატარდა სოფლების: ატენის, ბობნევის, ბოშურის, ორმოცის, ლევიტანას მაცხოვრებლებთან, საჯარო და საბაზო სკოლების მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, ქალებთან, ეთნიკური უმცირესობის (აზერბაიჯანული თემის) წარმომადგენლებთან. შეხვედრების მიზანი იყო მათთვის დაცული ტერიტორიების, მდგრადი განვითარების საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება, ბუნებრივი რესურსების მოპოვების შესახებ ბიუროკრატიული / ფორმალური ინფორმაციის გაზიარება.

საანგარიშო პერიოდში (10 თვე) გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტომ მონაწილეობა მიიღო და

გაიმარჯვა UNDP-ის რეგიონული ინიციატივის ,,მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4G) პროგრამის ფარგლებში გამართულ კონკურსში, რომელიც მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტისთვის საინვესტიციო კატალოგის შექმნას.

გორის მუნიციპალიტეტის განვითარების სააგენტო მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად ჩაერთო ორგანიზაცია ,,ჰელვიტასის“ პროექტში ,,ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება“ (LED) რომელიც მიზნად ისახავს კერძო-საჯარო დიალოგის წახალისებას და მცირე მეწარმეთა გაძლიერებას.

გორის მუნიციპალიტეტის განვითარების სააგენტომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს და სლოვაკეთის კარიტასთან მიაღწია 150 ათასი ევროს მოცულობის საგრანტო შეთანხმებას რომელიც მიზნად ისახავს ეკო ტურიზმის, ეკო განათლების და აგრო ტურიზმის განვითარებას გორის მუნიციპალიტეტში. მათ შორის ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე 15 კ.მ - მდე სიგრძის ეკო ტურისტული ბილიკის მოწყობას, ეკო ტუალეტების, ფანჩატურების, საინფორმაციო ნიშნების და მარკირების შექმნას. პროექტის ფარგლებში ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე, სოფელ ბოშურის მიმდებარედ მოეწყობა ადაპტირებული ეკო - საგანმანათლებლო ბილიკი, სადაც ნებისმიერ ადამიანს (მათ შორის განსხვავებული შესაძლებლობების მქონე პირებს) შეეძლება ბრაილის შრიფტის, ხმოვანი ინფორმაციის, სენსორული ინტერპრეტაციების საშუალებით მიიღოს ინფორმაცია ბუნებრივი რესურსების, ბიომრავალფეროვნების, ბუნების საიდუმლოებების შესახებ.

ამავე პერიოდში გორის განვითარების სააგენტო აქტიურად იღებს მონაწილეობას USAID - ის ძლიერი სოფლის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების სტრატეგიის წერის პროცესში.

განვითარების სააგენტოს ინიციატივით მიმდინარე წელს დაიწყო სპეც. პროექტი ,,ქართული რეწვა დასაქმებისთვის“ რომელიც გულისხმობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები, დასაქმების და განათლების მიღმა მყოფი ქალების ჩართვას თექის, კერამიკის და ფარდაგების ქსოვის შესწავლის პროცესში. ამ დროისთვის აღნიშნულ კურსს 16 ქალი გადის. კურსის მონაწილეები მონაწილეობას მიიღებენ სპეციალურად მათთვის ორგანიზებულ გამოფენა - გაყიდვებში, მათთვის დაიგეგმა ციფრული მარკეტინგის კურსის ორგანიზება.

საანგარიშო პერიოდში გორის მუნიციპალიტეტის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით და ხელშეწყობით 12 - მა ადგილობრივმა ახალგაზრდამ მონაწილეობა მიიღო ევროპის ქვეყნებში განხორციელებულ ერასმუს პლიუსის მოკლე და საშუალოვადიან გაცვლით პროგრამებში.

2023 წლის სეტემბრიდან სააგენტომ ,,ევროპის სოლიდარობის კორპუსის“ ფარგლებში 2 გერმანელ მოხალისეს უმასპინძლა. მოხალისეები გორელი ახალგაზრდებისთვის ინგლისური და გერმანული ენის უფასო კურსებს ატარებენ. კურსებში ამ დრომდე 130-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

გორის მუნიციპალიტეტის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი, სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად: ინფორმაციის გაცვლის, თანამშრომლობისა და მუნიციპალიტეტში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით 2023 წლის აგვისტოდან დღემდე 30-ზე მეტ სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელს, სათემო ლიდერს და სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენელს შეხვდა.
გორის მუნიციპალიტეტის განვითარების სააგენტომ 2023 წლის სექტემბერში მონაწილეობა მიიღო გორში გამართულ დასაქმების ფორუმის ორგანიზებაში.

ფორუმში მონაწილეობა 1000-ზე მეტმა მოქალაქემ მიიღო. ისინი გაეცნენ ადგილობრივი ბიზნესის შეთავაზებებს.
გორის მუნიციპალიტეტის განვითარების სააგენტომ ხელი შეუწყო დასაქმების ფორუმზე მცირე მეწარმეების მონაწილეობას, დასაქმების სააგენტოს დაეხმარა ლოჯისტიკური და ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში.

გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტომ ფონდ ,,ტასოსთან" ერთად საანგარიშო პერიოდში დაიწყო ტანას ხეობაში (დაცული ლანდშაფტის ტერიტორია) მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური და უფლებრივი გაძლიერების პროგრამა.

პროგრამის ფარგლებში სოფლების: ატენი, წედისი, ბნავისი, ბოშური, ლევიტანა მცხოვრები ქალები განივითარებენ სამეწარმეო უნარებს, გაიუმჯობესებენ ცოდნას ადამიანის უფლებების და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ. 2024 წლის სექტემბრის პერიოდში ისინი მიიღებენ საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობას.

გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტო კოორდინაციას უწევს ატენის/ტანას ხეობის სივრცითი განვითარების გეგმის პროქტის მიმდინარე სამუშაოებს. სააგენტომ ამ დრომდე პროექტის შემსრულებელ კომპანიასთან (არტ სტუდიო) გორის მუნიციპალიტეტში (ქ.გორი და სოფელი ბოშური) ორ საჯარო შეხვედრას გაუწია ორგანიზება, სადაც პროექტის შემსრულებლებმა ადგილობერივი მოსახლეობისგან მნიშვნელოვანი უკუკავშირი მიიღეს. თავის მხრივ შემსრულებელმა კომპანიამ ხეობის მოსახლეობას პროექტზე მუშაობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

საანგარიშო პერიოდში განახლდა ქ.გორის ტურისტული რუკა. რუკაზე ის ტურისტული ობიექტები განთავსდა რომელიც ქალაქში ბოლო დროს განვითარდა და ძველ რუკაზე არ იყო დატანილი. სულ დაიბეჭდა 2 000 ახალი რუკა, სადაც გრაფიკული გამოსახულების გარდა ტურისტები ინგლისურ ენაზე გაეცნობიან ინფორმაციას ადგილობრივი ტურიზმის ღირსშესანიშნაობების შესახებ. რუკები გადაეცა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებს და სასტუმროებს.

სააგენტომ 2023 წლის დეკემბერში შეხვედრა გამართა ადგილობერივ - მცირე მეწარმეებთან - პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით. შეხვედრაში მონაწილეობა 50-ზე მეტმა მეწარმე სუბიექტმა მიიღო. მათ მიერ წამოჭრილ გამოწვევებს შორის იყო დამზადებული და ნაწარმოები პროდუქციის რეალიზაციის ბაზრის სიმცირე.

2024 წლის მარტში სააგენტომ მეწარმეთა მიერ დასახლებული გამოწვევის აღმოფხვრის მიზნით უზრუნველყო სპეციალური სავაჭრო დახლების (ფანჩატურების) შეძენა და დაიწყო ახალი პროექტის ღია ბაზრობების, იგივე Flea Market- ების ორგანიზება. ამ დრომდე უკვე ჩატარდა 3 Flea Market-ი. გარდა მცირე მეწარმეთა პროდუქციის რეალიზებისა, პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ქალაქში ტურისტული მიზიდულობის ცენტრის გაჩენას და ფესტივალის მსგავსი, ღია ბაზრობების კულტურად ქცევას. ამავე ფორმატში სააგენტო გეგმავს მცირე და მსხვილ მეწარმეთა შეხვედრების ორგანიზებას. პლატფორმის ფარგლებში ვმუშაობთ დონორ ორგანიზაციებთან გორელი მეწარმეების ციფრული უნარებით გაძლიერების თაობაზე, რათა მათ შეძლონ პროდუქციის ბრენდირება, დიზაინის შექმნა, სოც. მედია არხების გამოყენება ნაწარმის პოპულარიზაციისა და გაყიდვებისთვის ზრიდისთვის.

საანგარიშო პერიოდში გორის მუნიციპალიტეტის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა საგანმანათლებლო - საინფორმაციო შეხვედრები გამართა მუნიციპალიტეტის 18 სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრების თემატიკა შეეხებოდა:

სათემო და სასკოლო პროექტების დაგეგმვას, მოსწავლეთა თვითმმართველობის განვითარებას, ეკო-საგანმანათლებლო აქტივობების მოწყობას; ქრაუდფანდინგ (სახალხო დაფინანსება) კამპანიების ორგანიზებას და სხვა. ამ შეხვედრებში მონაწილეობა 200 - მდე მოსწავლემ მიიღო.

სააგენტოს ხელმძღვანელი ასევე შეხვდა გორის ახალგაზრდული საბჭოს წევრებს და მსგავსი საბჭოების მუშაობის ევროპული პრაქტიკა გააცნო.

სააგენტოს დირექტორმა ქ.გორის საჯარო სკოლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო გარემოს გამწვანების და დასუფთავების აქციებში.

სააგენტოს დირექტორმა გორის სკოლების მოსწავლეებთან გამართა საჯარო მოხსენება თემაზე: ახალგაზრდული სივრცეების როლი სფეროს ახალგაზრდული ეკოსისტემის შექმნაში

მუნიციპალიტეტის განვითარების სააგენტო ხელს უწყობს ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებას. საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის ტურიზმის განყოფილების საინფორმაციო ცენტრის საკონფერენციო დარბაზში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა 30-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარეს, სრულიად უფასოდ.

სააგენტოს ხელმძღვანელობამ გიდების დღესთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ 22 გიდს პროფესიული დღე მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოს თანამშრობლებმა მიმდინარე წლის თებერვალში მოაწყეს ტანას ხეობის დასუფთავებისა და ხეობის სოფლების გამწვანების მასშტაბური

აქცია. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ადგილობრივმა მოსახლეობამ და მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლობამ.

გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტომ 2023 წელს სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში უზრუნველყო პროგრამის წესდებით გათვალისწინებული საინფორმაციო კამპანიის ჩატარება, 20-მდე საჯარო შეხვედრის ორგანიზება და მოქალაქეთა დახმარება მონაწილეობა მიეღოთ თემში არსებული პრობლემების გამოკვეთასა და პროექტების მომზადებაში. სააგენტო 2024 წელს ასევე გეგმავს სამოქალაქო ბიუჯეტის საინფორმაციო კამპანიის ჩატარებას.

საანგარიშო პერიოდში სააგენტოს ხელმძღვანელი და ორგანიზაციის წარმომადგენლები შეხვდნენ გორში არსებული უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებს, მათგან კოლეჯ ,,ამაგთან" გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ამავე კოლეჯთან თანამშრომლობით დაიწყო პროექტი რომელიც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში აკვა კულტურის განვითარებას და ამ მიმართულებით სასწავლო კურსის დაწყებას.

განვითარების სააგენტოს გუნდმა კოლეჯ ,,განთიადთან" ერთად მიმდინარე წელს შეიმუშავა დაცული ტერიტორიების რეინჯერის მომზადება - გადამზადების მოკლევადიანი პროგრამა / მოდული.

2023 წლის 18-19 დეკემბერს მუნიციპალიტეტის განვითარების სააგენტოს დაკვეთით ეკოტურიზმის ასოციაციის მიერ ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ადგილობრივი დაინტერესებული მოქალაქეებისა და მცირე მეწარმეებისთვის ჩატარდა საბაზისო ტრენინგ კურსი სახელწოდებით: როგორ

შევქმნათ ეკოტურისტული პროდუქტები დაცულ ტერიტორიებზე. კურსში მონაწილეობა 16-მა ადგილობრივმა მეწარმემ მიიღო.

სააგენტომ გერმანელ მოხალისეებთან ერთად გაანხორციელა აქტივობა ,,ევროპის დღე“ რომელიც საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას მიეძღვნა. აქტივობა სოციალურ კაფე ,,სფეისში“ ჩატარდა და მასში მონაწილეობა 30-მდე ახალგაზრდამ მიიღო. აქტვობაზე გერმანელმა მოხალისეებმა დამსწრეებს მათი ეროვნული საკვები შესთავაზეს, ასევე გააცნეს ინფორმაცია გერმანული კულტურის შესახებ. ახალგაზრდებთან ერთად აქტივობაში მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მერმა და მისმა მოადგილემ მიიღეს.

ევროკავშირის მონიტორინგის მისიის გორის წარმომადგენლობასთან ერთად მუნიციპალიტეტის განვითარების სააგენტომ 2024 წლის 10 მარტს მოაწყო გამოფენა - გაყიდვა სადაც მონაწილეობას იღებდნენ ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის პირას მცხოვრები ქალები. ღონისძაზე წარმოადგენილი იყო გორის მუნიციპალიტეტის საოკუპაციო გამყოფი ხაზის პირას მცხოვრები 12 მეწარმე ქალი.

განვითარების სააგენტოს და ტურიზმის ეორვნული ადმინისტრაციის ერთობლივი ორგანიზებით ტურიზმის სფეროში ჩართული მეწარმეებისა და გიდებისთვის დაიგეგმა და ჩატარდა ტრენინგები: ინკლუზიური ტურიზმის, პირველი დახმარების აღმოჩენის, სოციალური მედიის არხების მართვის შესახებ.

ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეობა ტურიზმის სფეროს 30-ზე მეტმა წარმომადგენელმა მიიღო.

გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტომ მიმდინარე წლის მაისში მონაწილეობა მიიღო ეროვნულ და საერთაშორისო მასშტაბის საგამოფენო ღონისძიებებში ,,ექსპო ბათუმსა“

და ევროპის დღეზე, სადაც წარმოდგენილი იყო გორის მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობები და პოტენციალი.

2023 – 2024 წელს სრულად მოხდა დაცული ლანდშაფტის განყოფილების აღჭურვა შესაბამისი ტექნიკით, დრონებით, რეინჯერთა უნი ფორმებით, ფოტო ხაფანგებითა და ავტომობილებით. დღეისთვის დაცული ლანდშაფტის განყოფილებას 2 ავტომობილი ლ 200 ტიპის პიკაპი და რენო დასტერი ემსახურება. სამომავლოდ დაგეგმილია კიდევ ერთი ავტომობილის შეძენა.

ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლებიზ მიზნით სააგენტო მუდმივად აწყობს შეხვედრებს თემის მოსახლეობასთან, აცნობას მათ დაცული ტერიტორიების პრინციპებს, მოქმედ წესებს, კანონმდებლობას და მდგრადი განვითარების პრინციპებს.

2023 წელს გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოს დაცული ლანდშაფტის მართვის განყოფილების მიერ, სატყეო სააგენტოს და ტანის აღკვეთილის თანამშრომლებთან ერთად ჩატარდა ტანისა და თეძმის ხეობაში არსებული დაცული ლანდშაფტის ხეტყის სრული ინვენტარიზაცია და გადმობარება.

2023-2024 წლებში განვითარების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარებული ინვენტარიზაციის და მომზადებული წერილის საფუძველზე ცვლილება შევიდა მთავრობის 42-ე დადგენილებაში და გორის მუნიციპალიტეტს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე მიენიჭა სოციალური ჭრის ფარგლებში საშეშე მერქნის გაცემის უფლება.

სააგნგარიშო პერიოდში დაცული ლანდშაფტის განყოფილების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს გარემოს დაცვით საგანმანათლებლო, საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრებში რომელიც ეხებოდა ტყის მდგრად მართვას, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგს, დაცული ტერიტორიების სისტემის გაუმჯობესებას.

სააგენტო ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე პრო-აქტიულად აქვეყნებს ინფორმაციას საქმიანობისა და აქტივობების შესახებ. საანგარიშო პერიოდში სააგენტოს დირექტორმა მონაწილეობა მიიღო ადგილობრივ მედიასაშუალებების მიერ მომზადებულ სიუჟეტებსა და სტატებში, მან ინტერვიუებში ისაუბრა სააააგენტოს საქმიანობასა და განხორციელებულ პროექტებზე. მედიასაშუალებების ტონი მომზადებულ სიუჟეტებსა და სტატიებში იყო მეტწილად პოზიტიური და ნეიტრალური. ამავე პერიოდში სააგენტოს საქმიანობის შესახებ სიუჟეტები მომზადდა როგორც ცენტრალური ასევე ადგილობრივი მედიასაშუალებების მიერ.

ფინანსური საქმიანობა:

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოს 2023 წლის ბიუჯეტი დაგეგმვის პროცესში განსაზღვრული იყო, როგორც გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამტკიცებული სუბსიდია. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2023 წლის ასიგნება 329000 ლარის ოდენობით. 2023 წლის ნოემბერში გორის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმდა და დირექტორის მიერ დამტკიცდა 2023 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 830160 ლარით. საშტატო განრიგი განისაზღვრა 29 საშტატო ერთეულით, თანამდებობრივი სარგო - 220520 ლარით. ასევე შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვრა 67 ერთეულით და თანამდებობრივი სარგო 316237 ლარი.

2023 წლის დეკემბერში გაიცა ჯილდო თანამდებობრივი სარგოს მუხლში 16954.5 ლარი და შტატგარეშე მომუშავეთა მუხლში 15930.60 ლარი.

2023 წლის გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოს მიერ 2023 წელის ივნისიდან მუხლობრივად გაწეული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. შრომის ანაზღაურების მუხლში (საშტატო განრიგის მიხედვით) დაიხარჯა - 168063 ლარი; პრემია 32885 ლარი.
2. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში პრემიის ჩათვლით დაიხარჯა - 249166 ლარი;
3. მივლინების მუხლში ქვეყნის შიგნით - 2768 ლარი;
4. მივლინების მუხლში ქვეყნის გარეთ - 2579 ლარი;
5. ოფისის ხარჯის მუხლში - 59110,75 ლარი;
6. ტრანსპორტის დაქირავების მუხლში - 2315,54 ლარი;
7. სხვა დანარჩენი საქ. და მომსახ. მუხლში – 28161 ლარი;
8. წარმომადგენლობით მუხლში - 6428,5 ლარი.
9. სოციალური უზრუნველყოფის მუხლში - 564 ლარი;
10. უნიფორმების შეძენის მუხლში - 17069 ლარი;
11. არაფინანსური აქტივებიდან– 81412 ლარი;

რაც შეეხება საკუთარ შემოსულობებს, ევროკომისიის ევროპის სოლიდარობის კორპუსის (ESC) პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის: ,,დიახ, ახალგაზრდებს შეუძლიათ" განსახოციერლებლად, სააგენტოს სასარგებლოდ სექტემბრის თვეში ჩაირიცხა მოპოვებული გრანტის ტრანში 1800 ევროს (5068,26 ლარი) ოდენობით,ხოლო დეკემბრის თვეში 1800 ევრო (5175,36 ლარი).სულ 10243,62 ლარი.

საკუთარი სახსრების წყაროდან დაიხარჯა - 11607,46 ლარი.

2023 წლის ბიუჯეტიდან დაიფარა კომუნალური გადასახადები და შესყიდულ იქნა საჭირო საოფისე ნივთები (საკანცელარიო ნივთები, საბეჭდი ქაღალდი, CD დისკები და სხვა ანალოგიური მასალები).

2023 წლის ბიუჯეტი მაქსიმალურად პასუხობდა მოთხოვნილებებს. თანხების ხარჯვა ხორციელდებოდა წინასწარ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

2024 წლის ბიუჯეტი დაგეგმვის პროცესში განსაზღვრული იყო, როგორც გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამტკიცებული სუბსიდია. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2024 წლის ასიგნება 1086360 ლარის ოდენობით,დაზუსტებული ბიუჯეტი განისაზღვრა 1224000 ლარის ოდენობით.

საშტატო განრიგი განისაზღვრა 31 საშტატო ერთეულით, თანამდებობრივი სარგო - 406748 ლარით. ასევე შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვრა 68 ერთეულით და შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო 568550 ლარი.

2024 წლის განმავლობაში გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ 2024 წლის განმავლობაში მუხლობრივად გაწეული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. შრომის ანაზღაურების მუხლში (საშტატო განრიგის მიხედვით) დაიხარჯა - 129351 ლარი;
2. ჯილდო-პრემიის მუხლში - 3380 ლარი
3. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში დაიხარჯა 187955 ლარი,მ.შ პრემია - 8580 ლარი;
4. მივლინების მუხლში ქვეყნის შიგნით - 4320 ლარი;

5. მივლინების მუხლში ქვეყნის გარეთ - 967 ლარი;
6. ოფისის ხარჯის მუხლში - 33023 ლარი;
7. ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის მუხლში - 4286,67 ლარი;
8. სხვა დანარჩენი საქ. და მომსახ. მუხლში – 10987 ლარი;
9. წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლში - 2385 ლარი.
10. სოციალური უზრუნველყოფის მუხლში - 2719 ლარი;
11. სხვა ხარჯების მუხლში - 70 ლარი;
12. არაფინანსური აქტივებიდან– 13220 ლარი;

რაც შეეხება საკუთარ შემოსულობებს, ევროკომისიის ევროპის სოლიდარობის კორპუსის (ESC) პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის: ,,დიახ, ახალგაზრდებს შეუძლიათ" განსახოციერლებლად, სააგენტოს სასარგებლოდ მარტის თვეში ჩაირიცხა მოპოვებული გრანტის ტრანში 2100 ევროს (6134,94 ლარი) ოდენობით.

საკუთარი სახსრების წყაროდან დაიხარჯა - 9226,93 ლარი.
სააგენტოს თანხების ხარჯვა ხორციელდება წინასწარ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

შესყიდვები

2023 წლის შესყიდვების წლიურ გეგმა შეადგენს 240957 ლარს.

2023 წლის პერიოდში განხორციელდა ცხრა შესყიდვა კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, რისი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 17404.20 (ჩვიდმეტიათასოთხასოთხი ლარი და 20 თეთრი) ლარს. ასევე განხორციელდა ერთი შესყიდვე ელექტრონული ტედნერის საშუალებით 40000 (ორმოციათასი) ლარის ღირებულების.

ამას გარდა 2023 წლის განმავლოაში განხორციელდა 93 შესყიდვა, საიდანაც 83 შესყიდვა იყო გამარტივებული შესყიდვა მონეტარული ზღვრის დაცვით, სახელშეკრულებო ღირებულებით 136531.03 (ას ოცდათექვსმეტი ათას ხუთას ოცდათერთმეტი ლარი და 03 თეთრი) და 10 შესყიდვა წარმომადგენლობითი ხარჯი, ღირებულებით 4860.04 (ოთხიათასრვაასსამოცი ლარი და 04 თეთრი) ლარი.

2024 წლის შესყიდვების წლიურ გეგმა შეადგენს 362000 ლარს.

2024 წლის 16 მაისამდე განხორციელდა 57 შესყიდვა, საიდანაც 48 შესყიდვაა გამარტივებული შესყიდვა მონეტარული ზღვრის დაცვით, სახელშეკრულებო ღირებულებით 62191,06 (სამოცდაორიათასასოთხმოცდათერთმეტი) ლარი და 9 შესყიდვა კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, სახელშეკრულებო ღირებულებით 21037,47 (ოცდაერთიათასოცდაჩვიდმეტი ლარი და 47 თეთრი) ლარი.

საქმისწარმოება

2023 წლის განმავლობაში კერძოდ, იწარმოა შემოსული დოკუმენტაციის რეესტრი, რომლის შედეგადაც სააგენტოში შემოსულია 406 (ოთხას ექვსი) წერილი, რომელიც გატარდა და გადაეცა შემდგომი რეაგირებისთვის, ასევე იწარმოა გასული დოკუმენტაციის რეესტრი, რომლის შედეგადაც სააგენტოდან გასულია 316 (სამას თექვსმეტი) წერილი .ასევე იწარმოვა ბრძანებები, სააგენტოს მიერ გაცემულია 292 (ორას ოთხმოცდათორმეტი) ბრძანება.სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილებისათვის ხდებოდა წერილების დროული მიწოდება და რეესტრი, ასევე მათი წერილების აღრიცხვა და შესრულების ვადების მონიტორინგი.

ასევე უზრუნველყოფილ იქნა თანამშრომელთა სამივლინებო დოკუმენტაციის მოწესრიგება, ტაქსით სარგებლობის ტალონების აღრიცხვა მოწესრიგება და შემდგომში ბუღალტერისთვის გადაცემა..

ამ დროის მანძილზე ხორციელდებოდა თანამშრომელთა საჭიროებების კვლევა, რათა ხელი არ შეშლოდათ გამართულ ფუნქციონირებაში.

მოწესრიგდა და დაარქივდა წინა წლების დოკუმენტაცია.

ასევე ხორციელდება დაწყებულ საქმიანობებზე მონიტორინგი.

2024 წლის განმავლობაში იწარმოა შემოსული დოკუმენტაციის რეესტრი, რომლის შედეგადაც სააგენტოში შემოსულია 107 (ასშვიდი) წერილი, რომელიც გატარდა და გადაეცა შემდგომი რეაგირებისთვის, ასევე იწარმოა გასული დოკუმენტაციის რეესტრი, რომლის შედეგადაც სააგენტოდან გასულია 101 (ას ერთი) წერილი .ასევე იწარმოვა ბრძანებები, სააგენტოს მიერ გაცემულია 142 (ასორმოცდაორი) ბრძანება .სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილებისათვის ხდებოდა წერილების

დროული მიწოდება და რეესტრი, ასევე მათი წერილების აღრიცხვა და შესრულების ვადების მონიტორინგი.

ასევე უზრუნველყოფილ იქნა თანამშრომელთა სამივლინებო დოკუმენტაციის მოწესრიგება და შემდგომში ბუღალტერისთვის გადაცემა..

ასევე ხდებოდა თანამშრომლების მიერ გამოყენებული ტაქსის მომსახურების ბარათების რეესტრი და ბუღალტერისთვის გადაცემა შემდგომი რეაგირებისთვის.

ამ დროის მანძილზე ხორციელდებოდა თანამშრომელთა საჭიროებების კვლევა, რათა ხელი არ შეშლოდათ გამართულ ფუნქციონირებაში.

მოწესრიგდა და ელექტრონულად დაარქივდა თანამშრომელთა პირადი საქმეები.

ასევე ხორციელდება დაწყებულ საქმიანობებზე მონიტორინგი.

სივრცითი

2023 წლის განმავლობაში მუდმივად ხორციელდებოდა გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული იმ წერილების აღრიცხვა, რომელთა საფუძველზეც ხდებოდა სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილებისთვის შესასრულებელი სამუშაოების განსაზღვრა, კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო ნახაზების მომზადება, საველე აზომვითი ნახაზების მომზადება, შენობა ნაგებობების შიდა და გარე აზომვითი სამუშაოების შესრულება და შესაბამისი ნახაზების მომზადება და სხვა. გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული წერილობითი დავალებების შესრულება, შესაბამისი ფორმით, ევალებოდა სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილების კონკრეტულ თანამშრომელს/თანამშრომლებს. ასევე ხორციელდებოდა შესრულებული სამუშაოს შესახებ საპასუხო წერილის მომზადება და აღნუსხვა.

სულ, 2023 წლის განმავლობაში სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილებისთვის გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულია 96 წერილი, ხოლო მომზადებული და გასულია 88 წერილი. თოთოეული მათგანი აღნუსხული და გატარებულია სათანადო წესით, როგორც შესაბამის ჟურნალში, ასევე ელექტრონულ ფორმაში.

2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით დახაზულია და აზომილია - 2 138 766. 19 კვ.მ

სიტუაციური ნახაზი - 5 ცალი

დაკვალულია - 385 წერტილი

შიდა აზომვითი ნახაზები -1505.53 კვ.მ

დამისამართებულია - ერთი ქუჩა

ჩასარიცხი აპარატების - 17 კვ.მ

ხაზოვანი - 3868

ქ. გორის ტურისტული ინგლისურ ენოვანი რუკა.

2024 წლის განმავლობაში მუდმივად ხორციელდებოდა გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული იმ წერილების აღრიცხვა, რომელთა საფუძველზეც ხდებოდა სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილებისთვის შესასრულებელი სამუშაოების განსაზღვრა, კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო ნახაზების მომზადება, საველე აზომვითი ნახაზების მომზადება, შენობა ნაგებობების შიდა და გარე აზომვითი სამუშაოების შესრულება და შესაბამისი ნახაზების მომზადება და სხვა. გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული წერილობითი დავალებების შესრულება, შესაბამისი ფორმით, ევალებოდა სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილების კონკრეტულ თანამშრომელს/თანამშრომლებს. ასევე ხორციელდებოდა შესრულებული სამუშაოს შესახებ საპასუხო წერილის მომზადება და აღნუსხვა.

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 13 მაისის ჩათვლით დახაზულია და აზომილია საკადასტრო ნახაზი - 1 578 704 კვ.მ

სიტუაციური ნახაზი - 8 ცალი

დაკვალულია - 20 წერტილი

შიდა აზომვითი ნახაზები -758 კვ.მ

ნაკვეთის გადამოწმება - 1 ცალი

ხაზოვანი ნაგებობა - 2055 მ